ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები

ძირითადი კანონის მისაღებად გამართული სამართლებრივი დისკუსიები
და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება

ეძღვნება საქართველოს 1921 წლის
კონსტიტუციის მიღების 95 წლისთავს

ზვიად კორძაძის
გამომცემლობა

თბილისი
2016

წინამდებარე კრებული ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 95 წლისთავს. კრებულში შესულია საკონსტიტუციო კომისიისა და დამფუძნებელი კრების წევრების სამეცნიერო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომები, რომლებიც წინ უძღვოდა ქვეყნის ძირითადი კანონის მიღებას და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ კონსტიტუციის მიღების დემოკრატიული პროცესის საერთო სურათის შესაფასებლად. ასევე, კრებულში შესულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული კონსტიტუციის ქართული (1921 წელი, ბათუმი), ფრანგული (1922 წელი, პარიზი) და ნიუ-იორკში გამოცემული ინგლისური ტექსტი (ჟურნალი - "The Voice of Free Georgia", 1953 წელი, რედ. ა. ცომაია).

კრებული განკუთვნილია მეცნიერ-იურისტებისა და 1921 წლის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორები:

ზვიად კორძაძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „კორძაძის საადვოკატო ბიუროს" მმართველი პარტნიორი, ადვოკატი, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის თავმჯდომარე

თორნიკე ნემსწვერიძე

სამართლის ბაკალავრი (თსუ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო სამართლის მიმართულების მაგისტრანტი

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა რუხაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, ვიცე-პრეზიდენტი

ნანა ჭიღლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის მიმართულების პროფესორი, სამართლის დოქტორი

ქეთევან ერემაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

ტექნიკური სარედაქციო ჯგუფი:

ნინო სანიკიძე, გიორგი კიპაროიძე, კახა წიქარიძე, თინათინ საღინაძე

© „ზვიად კორძაძის გამომცემლობა", 2016

ISBN 978-9941-24-215-1

„ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკების“ გამოცემისათვის

ქართული სახელმწიფო და საზოგადოება, რომელიც ურთულესი გლობალური თუ ლოკალური, ძალზედ დინამიური და ზოგჯერ ტრაგიკულად განვითარებული გამოწვევების წინაშე ბევრჯერ მდგარა, ისტორიამ მრავალგზის გააფრთხილა და ბევრჯერ დასაჯა. ამ დროის განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ვექტორების, დინამიკის, მისი შინაარსობრივი სიღრმეების საუკეთესო სარკე ხელოვნურად არშობილი, მაგრამ გვიან და მაინც, მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მოვლენილი და ახლადფეხადგმული კონსტიტუციონალიზმი აღმოჩნდა. რა პერსპექტივიდანაც არ უნდა განვიხილოთ ჩვენ ზოგადად და მათ შორის კონკრეტულად ქართული კონსტიტუციონალიზმი, როგორც თანამედროვე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური მოვლენა, მისი ახსნა სრულად მხოლოდ კონკრეტული კონსტიტუციით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით საქართველოს პირველი, 1921 წლის კონსტიტუცია შესაძლებელია გამოდგეს, როგორც კარგი კლასიკური მაგალითი. რა რთულიც იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების დინამიკა, ასეთივე რთული აღმოჩნდა ამ კონსტიტუციის როგორც მიღების, ისე მისი შემუშავებისა და მოქმედების პერიპეტიები. ამდენად, იგი როგორც დამფუძნებლური და სოციალური თანხმობის დოკუმენტი საუკეთესო სარკეა საქართველოს ახალი ისტორიის წიაღში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ცხოვრებისათვის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ კონსტიტუციამ საოცარი როლი და ფუნქცია იკისრა არა მხოლოდ თეორიული კვლევების, მსჯელობისა და შეფასებების თვალსაზრისით, არამედ კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში მონაწილეობის კუთხითაც. იგი ერთგვარად ბუნებრივი მეკავშირის როლში აღმოჩნდა წარსულის და თანამედროვე კონსტიტუციონალიზმს შორის. ამის ნათელი ილუსტრაციაა საქართველოს უახლესი კონსტიტუციური განვითარება, რასაც ნებისმიერ ეტაპზე თან სდევდა 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპები, მოყოლებული 1992 წლის 21 თებერვლის სამხედრო საბჭოს მიერ აღდგენილი კონსტიტუციიდან, დასრულებული მოქმედი, 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე. წარსულსა და აწმყოს შორის ასეთი მეკავშირის როლი იმ ღირებულებების კონსტიტუციურმა რეგლამენტაციამ განაპირობა, რომლითაც ეს კონსტიტუცია უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა როგორც იმ პერიოდის, ასევე, თანამედროვეობის მოღვაწეებისაგან.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მისაბაძი და დემოკრატიულობასთან თანმყოფია

კონსტიტუციის მისაღებად გამართული დისკუსიები, რომლებმად დიდი გავლენა იქონიეს მისი ნორმების საბოლოო რედაქციაზე. მიუხედავად კონსტიტუციის ოთხდღიანი იურიდიული ცხოვრებისა, მან იმ იდეათა გამო, რომლითაც ასე მოჭარბებულად იყო გაჟღენთილი მთელი კონსტიტუციის ტექსტი, დიდი რეზონანსი გამოიწვია საკონსტიტუციო სამართლის ლიტერატურაში. წინამდებარე კრებული, მასში შესული მასალებიდან გამომდინარე, მეტად საინტერესოა. კონსტიტუციის იდეასთან, სახელმწიფოს ორგანიზაციასთან და კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებული ამ ძირითადი გამოცემების გაცნობა აუცილებელია, იმ მუხტის გასაგებად, რაც წინ უძღვოდა 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების პროცესსა და მიღებას. კრებულში შესულია საკონსტიტუციო კომისიისა და დამფუძნებელი კრების წევრების ნაშრომები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებასა და განხილვაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მათ სამართლებრივ შეხედულებებს, ვინაიდან საბოლოო ჯამში შესაფასებელია, რა გავლენა იქონია ყოველივე ამან კონსტიტუციის ნორმებზე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს არც თვისობრივი და არც ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის როგორც დარგის განვითარების, ისე სწავლა-სწავლების და საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამდენად, ხაზგასასმელია თავად ბატონი ზვიად კორძაძისა და მისი გამომცემლობის როლი ზოგადად ამ წამოწყებაში. ორმაგად სასიამოვნოა ამ საქმის დასაწყისი ამ კონკრეტული გამოცემით, რადგან იგი თანაბრად პასუხობს როგორც საკითხის სამეცნიერო-პოპულარულ, ისე ემოციურ მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოებისათვის.

წარმოდგენილი კრებულის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისიცაა, რომ ნაშრომები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში ინახება, ხშირ შემთხვევაში დაზიანებული და ძნელად წაკითხვადი, ასევე, გაბნეული პერიოდული გამოცემების სხვადასხვა ნომრებში, რიგ ნაშრომებთან მიმართებით ორიგინალი გამოცემით სარგებლობაც კი გარკვეულ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რომლებსაც 1921 წლის კონსტიტუციისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი მეცნიერ-მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს, ერთიან გამოცემაშია თავმოყრილი, პირვანდელი სახით, თუ არ გავითვალისწინებთ მცირე ტექნიკურ შესწორებებს, და ეს მისასალმებელია. ღირებულებითი კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანია კონსტიტუციის ტექსტების ქართული, ფრანგული და ინგლისური ვარიანტების გამოცემა, რომლებიც XX საუკუნის 20-იან და 50-იან წლებში გამოქვეყნდა.

„ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“ ასეთი ფორმით მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული საკონსტიტუციო სამართლის ლიტერატურისათვის.

აღსანიშნავია კრებულის სამეცნიერო რედაქტორების, სარედაქციო კოლეგიისა და ტექნიკური ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაო, რისი შედეგიცაა ასეთი საინტერესო კრებული, რომელიც აუცილებლად დააინტერესებს არა მარტო ქართულ იურიდიულ, არამედ უფრო ფართო საზოგადოებას.

ზაზა რუხაძე
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის
დეკანი, ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

2016 წლის თებერვალი

წინათქმა

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, უდავოდ, მნიშვნელოვანია პერიოდი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაზე. 1918-1921 წლები გამორჩეულია თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ გადადგმული თვალსაჩინო საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯებით. იმ პერიოდს უკავშირდება მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნა, მათ შორის, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღება, რომელიც წარმოადგენს ღირებულ სამართლებრივ მემკვიდრეობას და სახელმწიფოებრიობის ჭეშმარიტ მონაპოვარს. მიუხედავად იმისა, რომ, ობიექტური მიზეზების გამო, მისი იურიდიული ძალა სულ ოთხი დღის მანძილზე გაგრძელდა, უდიდესი გავლენა იქონია ქართული კონსტიტუციონალიზმის წარსულსა და აწმყოზე. იგი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც, მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამართლებრივად გაფორმდა ქართული სახელმწიფო და, რეალურად, შეიქმნა 90-იან წლებში სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველი.

ერთმნიშვნელოვნადაა აღიარებული, რომ 1921 წლის კონსტიტუცია იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ძირითადი კანონია, რომელიც გამოირჩევა სამართლებრივი კულტურის, ეროვნული ღირებულებების და პოლიტიკური რეალობის ადეკვატური აღქმის მაღალი ხარისხით. მან დაამკვიდრა უზენაესი სახელმწიფოებრივი ფასეულობები – უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების და დაცვის თვალსაჩინო სტანდარტი, სახელმწიფოებრივი, თვითმმართველობის და სხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების მყარი სისტემა. მისი შინაარსი როგორც წარსულში, ისე დღეს მოქმედი ექსპერტების მაღალ შეფასებას იმსახურებს. აღსანიშნავია, კონსტიტუციის შემუშავების პროცესი, რომელიც პოლიტიკურ ძალთა ჭიდილის მიუხედავად, მიმდინარეობდა გამჭვირვალეობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით, ასევე, ექსპერტთა მაქსიმალური ჩართულობით. იგი არ ჩამოუვარდებოდა იმ დროინდელ ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარე შესაბამის დემოკრატიულ პროცესებს.

შემთხვევითი არაა, რომ 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონის მიერ დამკვიდრებული კონსტიტუციური ღირებულებები დღემდე აქტუალურია. საქართველოს მოქალაქეებმა მოქმედი კონსტიტუცია გამოაცხადეს „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით“. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სახელმწიფოს 1921 წლის 21 თებერვლის კონ-

სტიტუციური პრინციპების და წარსულის მონაპოვარის პატივისცემის ვალდებულება დააკისრა.

წინამდებარე კრებული „ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“, რომელიც ეძღვნება ქვეყნის ძირითადი კანონის მისაღებად განვითარებულ სამართლებრივ დისკუსიებსა და 1921 წლის კონსტიტუციის მიღების პერიპეტიებს, მეტად ღირებული გამოცემაა. მასში თავმოყრილია იმჟამინდელი ქართველი მოაზროვნეებისა და პოლიტიკოსების, ასევე, უცხოელი ექსპერტის მოსაზრებები აქტუალურ კონსტიტუციურ პრობლემებზე და ძირითადი კანონის სხვადასხვაენოვანი ტექსტები, რაც, თავის მხრივ, ჯერ კიდევ მისი მიღების ეპოქაში, მოცემული დოკუმენტისადმი მაღალ ინტერესს ადასტურებს.

მისასალმებელია კრებულის გამოცემის გადაწყვეტილება, რომელიც, მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 95 წლისთავის საიუბილეო თარიღის აღნიშვნას, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციონალიზმის საკითხებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის საინტერესო ინფორმაციის და მასალების მიწოდებასა და შესაბამისი კვლევის ხელის შეწყობას.

აღსანიშნავია „ზვიად კორძაძის გამომცემლობის“ დამსახურება 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საიუბილეო კრებულის გამოცემაში, მისი დამფუძნებლის ზვიად კორძაძის იდეის საფუძველზე. ასევე, დასაფასებელია, კრებულის სამეცნიერო რედაქტორების – ზვიად კორძაძისა და თორნიკე ნემსწვერიძის, სარედაქციო კოლეგიისა და ტექნიკური სარედაქციო ჯგუფის წევრების (ნინო სანიკიძის, გიორგი კიპაროიძის, კახა წიქარიძის, თინათინ საღინაძის) გულმოდგინე შრომა იმისათვის, რომ კრებული ასეთი საინტერესო ყოფილიყო. მსგავსი ინიციატივების და მათი ეფექტური რეალიზაციის მნიშვნელობა დიდია, რადგან ხელს უწყობენ იურიდიული მეცნიერების და პრაქტიკის განვითარებას.

ნანა ჯიღლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის მიმართულების პროფესორი, სამართლის დოქტორი

2016 წლის თებერვალი

შინაარსი

ზვიად კორძაძე, თორნიკე ნემსწვერიძე
სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება 11

I. საქართველოს დამოუკიდებლობა

პეტრე სურგულაძე
დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა 25

ფრანც ედუარდ რიტერ ფონ ლისტი
საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა 32

II. კონსტიტუციის მისაღებად გამართული სამართლებრივი დისკუსიები

რაჟდენ არსენიძე
დემოკრატიული რესპუბლიკა 40

კონსტანტინე მიქელაძე
დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და
პარლამენტარული რესპუბლიკა 68

პავლე საყვარელიძე
წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე 109

გიორგი გვაზავა
სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაზე 128

ვასილ წერეთელი
საქართველოს კონსტიტუციის პროექტი 135

გიორგი გვაზავა
ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა 145

სამსონ დადიანი
ჩვენი კონსტიტუცია – განხილული ხალხოსნური
სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით 236

გიორგი გვაზავა
ეროვნული უმცირესობა 285

ალექსანდრე მდივანი
მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა 290

პავლე საყვარელიძე
საქართველოს კონსტიტუციისათვის 298

გიორგი გვაზავა
კონსტიტუციის ირგვლივ – პრეზიდენტი რესპუბლიკისა 350

ალექსანდრე მდივანი
საკონსტიტუციო საკითხები 356

III. კონსტიტუციის ტექსტი

საქართველოს კონსტიტუცია 366

Constitution de la République de Géorgie 394

The Constitution of Georgia 418

შპს „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“

თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №21, ბლოკე A, პირველი სადარბაზო

ტელ.: 0322 38 03 22

https://www.facebook.com/ZviadKordzadzePublishing/